ლელო

№16
(10976)

აპრილი. 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუ ბა თა

**სააგენტო „გუმათი“**

# ვინ წავა ატლანტაში?

ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებლად განსაკუთრებით უხვმოსავლიანი გამოდგა ჩვენი სპორტსმენებისთვის მარტი და აპრილის პირველი დეკადა.

სააგენტო „გუმათის“ კორესპონდენტმა სრული ინფორმაცია მიიღო საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში იმათ შესახებ, ვინც დღემდე უკვე მოიპოვა ოლიმპიადის საგზური და ვისაც კიდევ რჩება ამის შანსი.

მაშ ასე: ატლანტის საგზურები განაღდებული აქვთ: ნ. სალუქვაძეს და ნ. უჩაძეს (ორივე — ტყვიის სროლა); ნ. ყაზარაშვილს და გ. გახარიას (ორივე — წყალხტომა); მ. აზარაშვილს და ნ. ურუსოვას (ორივე — მძლეოსნობა); ხ. ქერივიშვილს (მშვილდოსნობა); ლ. მესხს (ჩოგბურთი); გ. ბიგანიშვილს (აფროსნობა); ი. გიორგაძეს (ტანვარჯიში); მ. გოგიას, ბ. მიქიაშვილს, კ. ტალახაძეს, ვ. სარავას, ა. ნოზაძეს (ყველა — ძალოსნობა); დ. ხახალეიშვილს, გ. ვაზაგაშვილს, ს. ლიპარტელიანს, გ. რევაზიშვილს, ვ. დგებუაძეს (ყველა — ძიუდო), ე. კურტანიძეს, ზ. თურმანიძეს, ზ. ტყეშელაშვილს, ა. გოგოლიშვილს (ყველა — თავისუფალი ჭიდაობა); ტ. მელელაშვილს, ბ. გოგიტიძეს, გ. პაპაშვილს, კ. გულიაშვილს (ყველა — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა); თ. მესხაძეს, ბ. ვარძელაშვილს, კ. გოგოლაძეს, ა. კაკაურიძეს, გ. კანდელაკს (ყველა — კრივი); ვ. იაგორაშვილს (თანამედროვე ხუთჭიდი).

საგზურის მოპოვების შანსი რჩებათ: ხ. ფუტკარაძეს (მშვილდოსნობა); თ. იმნაიშვილს (სასტენდო სროლა); ე. აბრამიას (მხატვრული ტანვარჯიში); მ. ლობჟანიძეს, ი. ჯიქურაულს, გ. წმინდაშვილს (სამივე — ძიუდო); ივნისში გადაწყდება ჩოგბურთელ ნინო ლუარსაბიშვილის საკითხი.

## ჩვენ — ვერცხლი, ბერძნებს — ოქრო

სტავანგერში (ნორვეგია) ახლახან დამთავრებულ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ბიძინა მიქიაშვილმა (საქართველო, 83 კგ) ვერცხლის მედალი მოიპოვა ორჭიდში — 357,5 (155+202,5). ჩემპიონი ამ წონაში გახდა რუსი იური მიშკოვეცი — 367,5 (167,5+200). მიქიაშვილმა აკვრაში ერთი ოქროს მცირე მედალიც დაიმსახურა.

99 კგ-ში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი ხვდა კახი კახიაშვილს (საბერძნეთი) — 392,5 (172+222,5).

### მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ● 1938 წელი. III ჩემპიონატი. საფრანგეთი



1938 წელს იტალიის ფეხბურთელთა ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. ეს ფოტო გადაღებულია პარიზში, ფინალური მატჩის დამთავრების შემდეგ, რომელიც იტალიელებმა მოუგეს უნგრეთის გუნდს — 4-2 (3-1). დგანან (მარცხნიდან) — ბიავატი, მწვრთნელი-მენეჯერი ვიტორიო პოცო „ოქროს ქალღმერთით“ ხელში, პიოლა, ფერარი, კოლაუსი. პირველ რიგში — ლოკატელი, გუნდის კაპიტანი მეაცა, ფონი, სერანტონი, მეკარე ოლივიერი, რავა და ანდრეოლო.



მსოფლიოს III ჩემპიონატის (1938 წელი, საფრანგეთი, 4-19 ივნისი), პლაკატი-ემბლემა.

ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი, ბრაზილიელი ფორვარდი ლეონიდასი, რომელმაც ხუთ მატჩში 8 გოლი გაიტანა.

იხ. მე-3 და მე-6 გვ.
(კროსვორდი)

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## XXII ტურის მიმოხილვა

XXII ტურის ცენტრალური მატჩი თბილისში ჩატარდა. „დინამომ“ 4-0 დაამარცხა „მეტალურგი“ და დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში კლასით სხვებზე მთელი თავით მაღლა დგას. ზესტაფონის „მარგვეთმა“ ყვარელში 6-2 მოუგო „დურუჯს“. საინტერესო შეხვედრა იყო სამტრედიაშიც. „სამტრედიამ“ და „ტორპედომ“ ფრედ 2-2 ითამაშეს. ეს „სამტრედიისათვის“ ზედიზედ მესამე ფრეა, თან სამივე ერთნაირი ანგარიშით. „კოლხეთმა“ კვლავ გაიმარჯვა — ამჯერად მან ზუგდიდელებს მოუგო 1-0 და თითქმის წამოეწია „სამტრედიას“ და „მეტალურგს“. დარჩენილი რვა შეხვედრიდან ფოთელებისათვის ორი იქნება რთული, „მეტალურგთან“ და „მარგვეთთან“. ორივე შეხვედრა ფოთში გაიმართება და, აქედან გამომდინარე, „კოლხეთს“ საპრიზო სამეულში მოხვედრის კარგი შანსი აქვს. ამ ტურში „ეგრისი“ შინ დამარცხდა „ბათუმთან“ 1-3.

დაიძაბა მდგომარეობა აუტსაიდერთა შორის. „გურიამ“ დაამარცხა „შევარდენი“ 1-0, „სიონმა“ კი 4-2 სძლია გორის „დილას“. თელავში „კახეთმა“ 1-0 მოუგო „ივერიას“. ახლა „ეგრისი“ 17 ქულით ბოლოსწინა ადგილზეა. „კახეთს“ 21 ქულა აქვს და XI ადგილზეა. როგორც ვხედავთ, ბოლოსწინა ადგილზე არმოხვედრისთვის ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის.

XXII ტურის 8 შეხვედრაში 5-ჯერ მასპინძლებმა გაიმარჯვეს, 2-ჯერ — სტუმრებმა. ერთი თამაში ფრედ დამთავრდა. ბურთების შეფარდება 16-13.

### „დინამო“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 4-0

„დინამო“: ზოიძე, კალაძე (ცქიტიშვილი 46), ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე, კობიაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე (ხორხელი 82), ხომერიკი (დემეტრაძე 65).

„მეტალურგი“: დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, პატარიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, ტარტარაშვილი, მეტრეველი (პერტაა 50), ალადაშვილი.

გოლები: გოგიჩაიშვილი (32,პენალტით), ხომერიკი (56), დემეტრაძე (66,72).

მსაჯი: ელგუჯა სილაგავა (თბილისი).

XXII ტურის ცენტრალურ მატჩში თბილისის „დინამო“ მასპინძლობდა რუსთავის „მეტალურგს“. „დინამო“ მასპინძლობდა, მაგრამ არც „მეტალურგი“ თვლიდა თავს სტუმრად. როგორც იცით მეორე წრის დასაწყისისთვის „მეტალურგს“ რუსთავში თამაში აკრძალა და ისინიც თბილისში ხვდებოდნენ მეტოქეებს. თან, იმ დღეს ტრიბუნებზე რუსთაველები ჭარბობდნენ.

თამაში თანაბარი ბრძოლით დაიწყო. წვიმამ და სველმა მინდორმა ვერ დააცხრო მეტოქეთა ჟინი. თბილისელთაგან აქტიურობდნენ ანჩაბაძე და გოგიჩაიშვილი. შეტევებში კარგად ერთვებოდა კიკნაძეც. რუსთაველებიდან გამოირჩეოდა ჩალაძე. 32-ე წუთზე გოგიჩაიშვილი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა რუსთაველთა საჯარიმოში. მის წინ ერთდროულად სამი მცველი აღიმართა. მათ შეძლეს გოგიჩაიშვილის გაუვნებელყოფა, მაგრამ ბურთი ლობჟანიძეს მიუვიდა. ეს უკანასკნელი ბურთიანად დაიძრა წინ, მაგრამ მცველის წამოდებულ ფეხზე წაიქცა. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. გოგიჩაიშვილმა კარგად დაარტყა 1-0.

ამის შემდეგ რუსთაველები მთელი ძალებით გადავიდნენ შეტევაზე. დინამოელთა დაცვაც რამდენიმეჯერ შეცდა. 38-ე წუთზე მაჭავარიანს სველ მინდორზე ფეხი დაუცდა. ბურთი ჩალაძეს მიუგორდა. ისიც მიუახლოვდა თბილისელთა კარს. ზოიძე კი წინ გამოვარდა. ჩალაძეს შეეძლო მეკარისთვის ბურთი თავზე გადაეგდო, მან კი მთელი ძალით დაარტყა და კარი ზოიძემ იხსნა. ეს ალბათ რუსთაველთა ერთადერთი რეალური შანსი იყო გატანით გოლი.

მეორე ტაიმში მხოლოდ „დინამო“ უტევდა. 55-ე წუთზე გოგიჩაიშვილმა კარგი პასი მიაწოდა ხომერიკს, მან კი კარისკენ შეუბრუნებლად, მიწაზე ბურთის დაუშვებლად დაარტყა და მარცხენა მაღალ კუთხეში ულამაზესი გოლი გაიტანა 2-0.

65-ე წუთზე ხომერიკის ნაცვლად დემეტრაძე შემოვიდა. მანაც თითქოს ესტაფეტა ჩაიბარაო, ბურთზე პირველივე შეხებით მესამე გოლი გაიტანა. 66-ე წუთზე ისევ დემეტრაძე გასცდა მცველს და მეკარესთან მარცხენა დაბალ კუთხეში თავისი მეორე გოლი გაიტანა 4-0, „დინამომ“ ისევ გაიმარჯვა და ალბათ უკვე ვეღარაფერი შეაჩერებს მის წინსვლას ჩემპიონობისკენ.

შოთა კოპალეიშვილი

### გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ | 22 | 17 | 4 | 1 | 63-10 | 55 |
| „მარგვეთი“ | 22 | 17 | 1 | 4 | 66-20 | 52 |
| „სამტრედია“ | 22 | 14 | 7 | 1 | 67-27 | 49 |
| „მეტალურგი“ | 22 | 16 | 0 | 6 | 52-25 | 48 |
| „კოლხეთი“ | 22 | 15 | 2 | 5 | 50-32 | 47 |
| „ბათუმი“ | 22 | 12 | 5 | 5 | 50-22 | 41 |
| „ტორპედო“ | 22 | 11 | 5 | 6 | 45-31 | 38 |
| „დილა“ | 22 | 10 | 4 | 8 | 45-37 | 34 |
| „შევარდენი“ | 22 | 8 | 2 | 12 | 29-36 | 26 |
| „ზუგდიდი“ | 22 | 7 | 2 | 13 | 33-48 | 23 |
| „კახეთი“ | 22 | 6 | 3 | 13 | 19-46 | 21 |
| „ივერია“ | 22 | 6 | 2 | 14 | 21-41 | 20 |
| „სიონი“ | 22 | 6 | 0 | 16 | 22-47 | 18 |
| „გურია“ | 22 | 6 | 0 | 16 | 18-53 | 18 |
| „ეგრისი“ | 22 | 5 | 2 | 15 | 35-56 | 17 |
| „დურუჯი“ | 22 | 0 | 1 | 21 | 11-95 | 1 |

საქართველო — ჩეხეთი.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

## რაგბი ● ფირა-ს 1995-96 წლების პირველობა
### „ბ“ ჯგუფი

მორაგბეთა ეროვნული ნაკრები პირველი გუნდია საქართველოდან, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის უმაღლეს „ა“ ჯგუფში გადასვლის უფლება მოიპოვა. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ჩვენმა გუნდმა შინ დაამარცხა ჩეხეთის ნაკრები — 20:3. თუმცა „ბ“ ჯგუფის გუნდებს შორის შეხვედრები კვლავ გრძელდება, მათი შედეგები გავლენას ვეღარ მოახდენს ლიდერებზე. საბოლოოდ I ან II ადგილს აქ საქართველო ან პოლანდია დაიკავებს. გაისიდან „ა“ უმაღლესი ჯგუფის 8 გუნდში მონაწილეობა ჩვენებს მსოფლიო თასის წილისყრაში უკეთესი განაწილების შანსს აძლევს.

## ნინო სალუქვაძე — მესამე

ჰავანაში გაიმართა მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი პნევმატური პისტოლეტით სროლაში ქალთა შორის, რომელიც მოიგო მუნკაბარ დორსურენმა (მონგოლეთი) — 482,6. ნინო სალუქვაძე (საქართველო) III ადგილზე გავიდა — 479,4.

## უეფას თასზე

16 აპრილს გაიმართა უეფას თასის განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრები: გერმანიის „ბაიერნი“ — ესპანეთის „ბარსელონა“ — 2-1 (პირველი მატჩი დამთავრდა ფრედ 2-2); ჩეხეთის „სლავია“ — საფრანგეთის „ბორდო“ — 0-1 (0-1).

გამარჯვებულები 1 მაისს გამართავენ პირველ ფინალურ მატჩს, ხოლო ორი კვირის თავზე — მეორეს.

## ერთადერთი საგზური — დავით ლობჟანიძეს

**ჭადრაკი**

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგის მოჭადრაკეებს შორის ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ხოლმე: ცნობილ ოსტატებთან ერთად მასში მონაწილეობენ ჩვენი ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები, ნიჭიერი ახალგაზრდები, მოჭადრაკე ქალების დიდი ჯგუფი.

ასე იყო ამჯერადაც, როცა 60 მოჭადრაკე ერთმანეთს საქართველოს უმაღლესი ლიგის ერთადერთ საგზურს ეცილებოდა. ცხადია, შეჯიბრება ლატარიას დაემსგავსა, მაგრამ „კანონი — კანონია“. ამასთან, ლატარიის ბილეთი მართლაც რომ ყველაზე ღირსეულმა კანდიდატმა მოიგო: ეროვნული ოსტატი დავით ლობჟანიძე თავიდან ბოლომდე ლიდერობდა, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველაზე ძლიერ მეტოქეებს ხვდებოდა (ტურნირი შვეიცარიული სისტემით მიმდინარეობდა, 9 ტურად). ასეთი მკაცრი კონკურენციის პირობებში თუნდაც ერთი მარცხი საბედისწერო იქნებოდა, მაგრამ დავითი არ წაფორხილებულა, მთელი შეჯიბრება, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით, ბრწყინვალედ ჩაატარა. მან 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, 7 პარტია მოიგო და ორი ყაიმით დაამთავრა. დავით ლობჟანიძე პირველ ადგილზე გამოვიდა და უმაღლესი ლიგის საგზური მიიღო.

მშვენივრად ითამაშეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა ალექსანდრე ყაშაშვილმა და მიხეილ მჭედლიშვილმა. მათ 7,5-7,5 ქულა მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს.

## რა ხდება ქვეყანაზე

● **მძლეოსნობის** საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მოუხსნა ინგლისელ მორბენალს დაიან მოდალს. შეგახსენებთ, რომ 1994 წელს მას ორგანიზმში აღმოუჩინეს აკრძალული პრეპარატის — ტესტოსტერონის კვალი, რის გამოც აუკრძალეს შეჯიბრებებში გამოსვლა. ინგლისელმა ამ გადაწყვეტილების გამო ფედერაციაში აპელაცია შეიტანა, რომელიც ბოლოს და ბოლოს დააკმაყოფილეს. ფედერაციის გენერალური მდივნის იშტვან გიულაის განცხადებით, მოდალი მონაწილეობას მიიღებს ატლანტის ოლიმპიადაში.

● **ბულგარეთის** ერთ-ერთ უძლიერეს მორბენალს 400 მეტრზე დანიელა გიორგიევას დოპინგის მიღებისათვის დისკვალიფიკაცია ემუქრება. ეს განაცხადა ქვეყნის მძლეოსანთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დობრომირ კარამარინოვმა. გიორგიევამ შარშან დარბაზებში მსოფლიოს ჩემპიონატზე (ბარსელონა) მესამე ადგილი დაიკავა აღნიშნულ დისტანციაზე. დოპინგანალიზი, რომელმაც დადებითი შედეგი უჩვენა, აღებული იყო 28 იანვარს ბუდაპეშტის ტურნირზე.

● **ამერიკელ** როზი კასალს და ინგლისელ დენ მასკელს წლეულს 14 ივლისს ნიუპორტის ჩოგბურთის დიდების დარბაზის წევრებად აირჩევენ. კასალსი 60-70-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი იყო, რომელსაც მოგებული აქვს 18 ტიტული ერთეულთა თანრიგში და „დიდი სლემის“ 12 ტურნირი წყვილთა შორის, დენ მასკელი კი დღესაც ყველაზე ავტორიტეტულ რადიოკომენტატორად ითვლება ჩოგბურთის დარგში.

● **მსოფლიოს** ექვსგზის აბსოლუტური ჩემპიონი ციგურაობაში იგორ ჟელეზოვსკი არჩეულია ბელორუსიის ინვალიდ სპორტსმენთა კომიტეტის თავმჯდომარედ. მანამდე იგი მუშაობდა კონსულტანტად სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში. კალგარისა და ლილეჰამერის თეთრი ოლიმპიადების პრიზიორის განცხადებით ახალი თანამდებობა საშუალებას მისცემს კონკრეტული დახმარება გაუწიოს და სარგებლობა მოუტანოს ინვალიდ სპორტსმენებს.

### უფრო დაწვრილებით

# ოთხი საგზურიც საქმეა

ბოლო დროს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში არც ევროპისა და არც მსოფლიო სარბიელზე წარმატება არ გვქონია. ასე რომ, ბუდაპეშტიდან, სადაც ევროპის მორიგი ჩემპიონატი გათამაშდა, მაინცდამაინც სასიამოვნო ცნობებს არ ველოდით. მაგრამ მის წინაშე დასმულ ამოცანას, საქართველოს ნაკრებმა, მეტნაკლებად გაართვა თავი — ოთხმა ჩვენმა თანამემამულემ ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზია მოიპოვა. ჩავთვალოთ, რომ ამ ეტაპზე ჩვენი „კლასიკოსების“ მთავარი საზრუნავი სწორედ ეს იყო. ისე კი, შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები უკანასკნელად 1993 წელს მოვიპოვეთ სტამბულში. მაშინ თავი გამოიჩინეს გელა პაპაშვილმა (48 კგ) და თენგიზ თედორაძემ (100 კგ).

პაპაშვილმა ამჯერადაც ივარგა და ოლიმპიადაზე წასვლის უფლება მოიპოვა თავის წონაში (დაიკავა VI ადგილი). VI ადგილებზე გავიდნენ და ლიცენზიების მფლობელნი გახდნენ, აგრეთვე, კობა გულიაშვილი (62 კგ), ტარიელ მელელაშვილი (68 კგ) და ბაკურ გოგიტიძე (100 კგ). სხვა ჩვენმა „კლასიკოსებმა“ ამ ჩემპიონატში ასეთი შედეგები აჩვენეს: 52 კგ ერიკ ხაჩატუროვი — XX, 57 კგ ჯამბულ ფუტკარაძე — XIV, 74 კგ გიორგი ჯინჭველაშვილი — XI, 82 კგ მუხრან ვახტანგაძე — XXIII, 90 კგ თენგიზ თედორაძე — XVIII, 130 კგ ხვიჩა ქორიძე — XIV.

ჩემპიონატის მედლები ქვეყნებს შორის განაწილდა ასე:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| რუსეთი | 4 | 1 | - |
| თურქეთი | 3 | - | - |
| უკრაინა | 1 | 2 | - |
| უნგრეთი | 1 | 1 | - |
| ბელარუსი | 1 | - | - |
| გერმანია | - | 1 | 3 |
| სომხეთი | - | 1 | 1 |
| ბულგარეთი | - | 1 | 1 |
| საბერძნეთი | - | 1 | - |
| რუმინეთი | - | 1 | - |
| მაკედონია | - | 1 | - |
| იტალია | - | - | 1 |
| ისრაელი | - | - | 1 |
| საფრანგეთი | - | - | 1 |
| პოლონეთი | - | - | 1 |
| ფინეთი | - | - | 1 |

რამდენად სანუგეშო ცნობაა ვერ გეტყვით, მაგრამ საქართველოში ფეხადგმულმა და დაოსტატებულმა ორმა მოჭიდავემ ჩემპიონატის მედალი მაინც მოიპოვა. ესაა გოგი კოღუაშვილი (რუსეთი), რომელიც ჩემპიონი გახდა და კოტე ციციაშვილი (ისრაელი), რომელიც ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

ტრადიციულად გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა გვარებს:

**48 კგ:** 1. ზაფირ გულიევი (რუსეთი), 2. დიან ალაჯანიანი (საბერძნეთი), 3. ფრანჩესკო კოსტანტინო (იტალია).

**52:** 1. ანდრეი კაზაჩენკოვი (უკრაინა), 2. არმენ ნაზარიანი (სომხეთი), 3. ალფრედ ტერ-მკრტიჩიანი (გერმანია).

**57:** 1. სერეფ ეროღლუ (თურქეთი), 2. მარიან სანდუ (რუმინეთი), 3. რიფატ იადიზი (გერმანია).

**62:** 1. სერგეი მარტინოვი (რუსეთი), 2. გრიგორი კამიშენკო (უკრაინა), 3. მხითარ მანუკიანი (სომხეთი).

**68:** 1. ანტილა რეპკა (უნგრეთი), 2. ალექსანდრე ტრეტიაკოვი (რუსეთი), 3. განი იალუზი (საფრანგეთი).

**74:** 1. ნაზიმი ავლუკა (თურქეთი), 2. ვლადიმერ კოროტოვი (ბულგარეთი), 3. ერიკ ჰანი (გერმანია).

**82:** 1. ხამზა ერლიკაია (თურქეთი), 2. პეტერ ფარკაში (უნგრეთი), 3. კოტე ციციაშვილი (ისრაელი).

**90:** 1. გოგი კოღუაშვილი (რუსეთი), 2. მაიკ ბულმანი (გერმანია), 3. ალექსანდრ სიდორენკო (ბულგარეთი).

**100:** 1. სერგეი ლისტვანი (ბელარუსი), 2. იგორ გრაბოვეცკი (მაკედონია), 3. ანჯეი ვრონსკი (პოლონეთი).

**130:** 1. ალექსანდრე კარელინი (რუსეთი). 2. პეტერ კოტოკი (უკრაინა), 3. იუხა ახოკასი (ფინეთი).

## ხუთირგოლის გარშემო

### ლიცენზიებს არიგებს... გაუმართავი კომპიუტერი

როგორც ვიუწყებოდით, მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე საკმაოდ ბარაქიანად „დარიგდა“ ატლანტის ოლიმპიადის საგზურები. ყველაზე ბევრი ლიცენზია რუსეთმა მიიღო — 9. შემდეგ მოდიან გერმანია და თურქეთი — 8-8, საფრანგეთი და უკრაინა — 7-7, შვეცია, რუმინეთი, ბულგარეთი — 6-6, საქართველო, იტალია, ბელარუსი — 5-5, სომხეთი, უნგრეთი, დანია, ჩეხეთი — 4-4, ირლანდია და პოლონეთი — 3-3, სლოვაკეთი, მოლდოვა, აზერბაიჯანი, საბერძნეთი, ლიტვა — 2-2. ესპანეთი, ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, ხორვატია და ნორვეგია — 1-1.

სხვათა შორის, ჩემპიონატის მსვლელობის დროს მოხდა ერთი კურიოზი: ყოფილმა ჩვენმა მოკრივემ, რომელიც ამჟამად რუსეთის ღირსებას იცავს, პაატა გვასალიამ თავისი პირველი ბრძოლა 60 კგში წააგო ჯესონ კუკთან... მსაჯთა კომპიუტერის აზრით. არადა, ყველა მსაჯმა, აგრეთვე ჟიურის ყველა წევრმა ამ შეხვედრაში გვასალიას უპირატესობა დააფიქსირა. რუსეთის დელეგაციამ შეიტანა აპელაცია ევროპის კრივის ასოციაციის აღმასკომის სახელზე, რომელმაც განიხილა ინციდენტი და მიიღო, ფაქტობრივად უნიკალური გადაწყვეტილება — შედეგი ძალაში დატოვა (თურმე მსაჯთა კომპიუტერის გადაწყვეტილების გაუქმება არ შეიძლება), გვასალიას კი დამატებითი ბრძოლის უფლება მისცა იმ მოკრივესთან, რომელიც ბოლო ადგილზე აღმოჩნდებოდა ამ წონაში ლიცენზიების მიღების კანდიდატთა შორის. თუმცა, უნდა ითქვას, რომ დადასტურდა კომპიუტერის ტექნიკური გაუმართაობა...

**ბარსელონის** ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა რამაზ ფალიანმა, რომელიც რუსეთის სახელით ქვემსუბუქ წონაში გამოდიოდა, ყველა ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა და ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა.

X X X

● **ლისაბონში** გაიმართა ფრენბურთელთა ბოლო შესარჩევი ოლიმპიური ტურნირების კენჭისყრა, რომლებიც გაიმართება ევროპის სამ ქალაქში. მიუნხენში ითამაშებენ: გერმანია, იუგოსლავია, ავსტრალია, აზია — 2; პარიზში — საბერძნეთი, ესპანეთი, პოლონეთი და აფრიკა; ესპინიოში — პორტუგალია, ბულგარეთი, კანადა და სამხრეთ ამერიკა.

● **ამ დღეებში** საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ძველ ოლიმპიაში თავისი აღმასკომის სხდომა მოაწყო, რომელიც თანამედროვეობის ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავს მიეძღვნა. სხდომაზე განიხილეს ოლიმპიური მოძრაობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები და დასახეს მათი გადაჭრის გზები.

# 100 წლის წინათ და ახლა

როგორც ვიუწყებოდით, ათენის ცნობილ მარმარილოს სტადიონზე, იქ, სადაც 100 წლის წინ თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები მოეწყო, გაიმართა ამ თარიღისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ზეიმი, რომელიც მძლეოსანთა გამოსვლებით დამთავრდა. გათამაშდა სულ 12 უმაღლესი ჯილდო, რომელთაგან შვიდი ამერიკელებმა დაისაკუთრეს. შედარებისთვის გთავაზობთ დღევანდელ გამარჯვებულთა შედეგებს და პირველ ოლიმპიურ ჩემპიონთა მაჩვენებლებს:

ათენი. 1896 წ. მარათონში გამარჯვებული ს. ლუისი

ათენი. 1996 წ. ოლიმპიური თამაშების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გარბენი.

**100 მ.** პეტერ ჰერგრეივსი (აშშ) — 10,1; თომას ბურკი (აშშ) — 12,0.

**400 მ.** ოტის სკოტი (აშშ) — 48,7; თომას ბურკი — 54,2.

**800 მ.** ჯეისონ პაირა (აშშ) — 1.53,4; ედვინ ფლეკი (ავსტრალია) — 2.11,0.

**1500 მ.** პანაიოტას პაპულიასი (საბერძნეთი) — 3.58,7; ედვინ ფლეკი — 4.33,2.

**110 მ.** თარჯრბენი. რობერტ რიდინგი (აშშ) — 13,5; თომას კერტისი (აშშ) — 17,6.

**მარათონი.** გერი ჰენრი (ავსტრალია) — 2:24.06; სპირიდონ ლუისი (საბერძნეთი) — 2:58.50.

**სიგრძე.** უილიამ აიერსი (აშშ) — 7,68; ელერი კლარკი (აშშ) — 6,35.

**სიმაღლე.** რიკ ნოჯი (აშშ) — 2,20; ელერი კლარკი — 1,81.

**სამხტომი.** ჟან პიერ სარანი (საფრანგეთი) — 15,96; ჯეიმს კონოლი (აშშ) — 13,71.

**ჭოკი.** კორი ტარპენინგი (აშშ) — 5,45; უილიამ ჰოიტი (აშშ) — 3,30.

**ბირთვი.** იონი რაინჰარდტი (გერმანია) — 19,30; რობერტ გერეტი (აშშ) — 11,22.

**ბადრო.** მარკო იაკობსი (გერმანია) — 52,66; რობერტ გერეტი — 29,15.

## ინფორმაცია

● **ძიუდო.** პერტოგენბოსში (პოლანდია) ახლახან გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 78 კგ-ში წარმატებით იასპარეზა ირაკლი უზნაძემ, რომელიც თურქეთის ღირსებას იცავდა. მან ყველა შეხვედრა მოიგო და თავის წონაში პირველი ადგილი დაისაკუთრა. ეს იყო ბოლო ტურნირი, რომელიც ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიისთვის საჭირო ქულებს იძლეოდა.

● **მძლეოსნობა.** ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა, ამერიკელმა სპრინტერმა და სიგრძეზე მხტომელმა კარლ ლუისმა, ოსტენდში გამართულ შეჯიბრებაზე 100 მ. 10, 10-ში გაირბინა. ფინიშთან მეორე მიიჭრა ჯონ დრამონდი — 10,11.

● **მძლეოსნობა.** 100 მეტრზე რბენაში მიმდინარე სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა 25 წლის ამერიკელმა ჯეფ ლეინსმა — 10,01. ეს მოხდა აშშ-ს ქალაქ ტემპეში. ორი მომდევნო ადგილიც ამერიკელმა სპრინტერებმა დაისაკუთრეს — ჯორჯ რეიჯმა (10,29) და ჯეისონ შელტონმა (10,30). ამერიკელი სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ ლეინსზე, ოღონდ მან ჯერ უნდა მოიპოვოს ატლანტის ოლიმპიადაში გამოსვლის უფლება.

● **ჩოგბურთი.** გაიმართა დევისის თასის მეოთხედფინალური შეხვედრები მსოფლიოს ჯგუფში. ინდოეთი — შვეცია 0:5; იტალია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა 4:1, საფრანგეთი — გერმანია 5:0, ჩეხეთი — აშშ 3:2. გარკვეულწილად მოულოდნელი იყო აშშ-სა და გერმანიის გუნდების მარცხი, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ვერც ერთმა და ვერც მეორემ ვერ შეძლეს უძლიერესი შემადგენლობის გამოყვანა. ამერიკელებს აკლდათ: პიტ სამპრასი, ანდრე აგასი, მაიკლ ჩანგი და ჯიმ კურიე, გერმანელებს კი მიჰაელ შტიხი და ნაწილობრივ ბორის ბეკერი (ტრავმის გამო მან მხოლოდ წყვილთა შეჯიბრებაში იასპარეზა და ისიც ნახევარი ძალით).

● **მძლეოსნობა.** ცნობილი რუმინელი სიმაღლეზე მხტომელი ალინა ასტაფეი, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს, ატლანტის ოლიმპიადაზე სწორედ გერმანიის ღირსებას დაიცავს. ასეთი შეთანხმება მიიღეს აღნიშნული ქვეყნების ოლიმპიურმა კომიტეტებმა. ასტაფეი კარგა ხანია გერმანიის სახელით გამოდის. მან თავის ახალ სამშობლოს უკვე მოუტანა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლები.

● **ფორმულა-1.** გაიმართა გათამაშების მესამე ეტაპი — „არგენტინის გრან-პრი“ (306,648 კმ. 72 წრე). 1. დემონ ჰილი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამს-რენო“) — 1:54.55,322 (საშუალო სისწრაფე საათში 160,013 კმ); 2. ჟაკ ვილნევი (კანადა, „უილიამს-რენო“) — ჩამორჩენა 12,167; 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ბენეტონ-რენო“) — ჩამორჩენა 14,754. სამი რგოლის ჯამში. 1. დემონ ჰილი — 30 ქულა, 2. ჟაკ ვილნევი — 12,3. ჟან ალეზი — 10; მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მიჰაელ შუმახერი, რომელიც მანქანის დაზიანების გამო რბოლას გამოეთიშა, სამი ეტაპის ჯამში 4 ქულით მეექვსე ადგილზეა.

● **ძალოსნობა.** ჩინელმა კიმ მენ ნამმა (70 კგ) აზიის ქვეყნების ჩემპიონატზე სამი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — აკრა 161 კგ, აიტაცა 193,5 კგ და ორჭიდის ჯამში აჩვენა 352,5 კგ. რაც შეეხება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს 91 კგ-ში, რუს ალექსეი პეტროვს, რომელიც დოპინგის მიღებაშია მხილებული, უფლება აქვს შეიტანოს აპელაცია საერთაშორისო ფედერაციაში (თუ, რა თქმა უნდა, თავს არ გრძნობს დამნაშავედ), რომელსაც აღმასკომი განიხილავს 1 მაისს ვარშავაში, იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

## პროფესიულ რინგზე

● **მსოფლიოს** ექსჩემპიონმა მძიმე წონაში ინგლისელმა ლენოქს ლუისმა უარყო ხმები თითქოს უმოკლეს დროში უნდა შეხვდეს მეორე ექსჩემპიონს, ასევე ინგლისელ ფრენკ ბრუნოს. ლუისმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ბრუნო ყოველნაირად არიდებდა თავს მასთან შეხვედრას, ბოლოს კი მეტოქედ ტაისონი აირჩია. ახლა მე აღარ მივცემს შანსს ბრუნოსო — განაცხადა ნაწყენმა ლუისმა. 10 მაისს ნიუ-იორკის მედისონ სკვერ გარდენში დაგეგმილია მისი შეხვედრა ამერიკელ რეი მერსერთან. ლუისს გადაწყვეტილი აქვს დაიბრუნოს ჩემპიონის ქამარი. სწორედ ამიტომ მის მენეჯერს მოლაპარაკება აქვს მაიკ ტაისონისა და რიდიკ ბოუს წარმომადგენლებთან.

● **35 წლის** ჯეიმს „ბასტერ“ დაგლასი ერთადერთი მოკრივეა მსოფლიოში, ვინც დაამარცხა მაიკ ტაისონი 1990 წელს. ამ დღეებში „ბასტერმა“ განაცხადა, რომ აქვს დიდი სურვილი მეორედაც „ჩაიდინოს“ დანაშაული. ტაისონის ბოლო ბრძოლამ ბრუნოსთან, — თქვა მან, — მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მე ვიცი როგორ უნდა მოუღო ბოლო მას. ძნელია, დაგლასის სიტყვების სერიოზულად აღქმა, ვინაიდან იგი კარგა ხანია არ გასულა რინგზე, მიეძალა ალკოჰოლს, გასუქდა და 153 კილოგრამი გახდა. სწორედ მაშინ მოუვიდა მძიმე ჰიპერტონული კომა და სამი დღის განმავლობაში ვერ მოვიდა გონს. მას მერე ექსჩემპიონი დიეტაზე დაჯდა და წონაში 40 კილოგრამი დაიკლო. მაგრამ მაინც, მისი მონაწილეობა რომელიმე სერიოზულ ორთაბრძოლაში, დაუჯერებელია.

● **კრივის** სამყარო საინტერესო და პრინციპული ბრძოლის მოლოდინით ცხოვრობს. 7 ივნისს, ლას-ვეგასში, ვბს-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი, მექსიკელი ხულიო სესარ ჩავესი (63,5 კგ) შეხვდება ამერიკელ ოსკარ დე ლა ჰოიას. ახლახან მოვიდა ცნობა, რომ ვარჯიშზე ჩავესმა დაიზიანა ხელი და დროებით შეწყვიტა წვრთნა.

● **მსოფლიოს** ჩემპიონმა 47,6 კგ-ში (ვბა) ნიკარაგუელმა როსენდო ალვარესმა მესამე რაუნდში ნოკაუტით მოუგო კოლუმბიელ ერმინ გარსიას და შეინარჩუნა ტიტული.

● **არაფერი** გამოუვიდა მექსიკელ ხოსე ლუის ბუენოს (53,5 კგ), რომელსაც ჩემპიონის ტიტულის (ვბს) ჩამორთმევა სურდა ირლანდიელი უეინ მაკკალოგისთვის. ამ უკანასკნელმა მართალია ძნელი, მაგრამ საპატიო გამარჯვება მოიპოვა თორმეტრაუნდიან ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელო“ – ფეხბურთის გულშემატკივრებს!

# მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში

1938 წელი ● III ჩემპიონატი ● საფრანგეთი

მესამე მსოფლიო ჩემპიონატის პირველმა მატჩმა (შვეიცარია — გერმანია) ვერ გამოავლინა გამარჯვებული, ამიტომ მეტოქეები განმეორებით შეხვდნენ ერთმანეთს ხუთი დღის შემდეგ. ამჯერად მერვედფინალური ორთაბრძოლა შვეიცარიის ნაკრებმა მოიგო (4-2) და განაგრძო ბრძოლა. ფოტოზე აღბეჭდილია გერმანელთა მეკარე რაფტლი, რომელმაც აართვა ბურთი შვეიცარიელთა საუკეთესო ფორვარდს აბეგლანს (მან ორი გოლის გატანა მაინც მოახერხა).

## 18 მატჩი

**მერვედფინალები.** შვეიცარია — გერმანია 1-1; შვეიცარია — გერმანია (განმეორებითი შეხვედრა) 4-2; კუბა — რუმინეთი 3-3, კუბა — რუმინეთი (განმეორებითი შეხვედრა) 2-1; ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 3-0; საფრანგეთი — ბელგია 3-1; უნგრეთი — ჰოლანდიის ინდოეთი 6-0; ბრაზილია — პოლონეთი 6-5; იტალია — ნორვეგია 2-1 (დამატებით დროში).

**მეოთხედფინალები.** იტალია — საფრანგეთი 3-1; შვეცია — კუბა 8-0; უნგრეთი — შვეიცარია 2-0; ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია 1-1. ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია (განმეორებითი შეხვედრა) 2-1.

**ნახევარფინალები.** უნგრეთი — შვეცია 5-1; იტალია — ბრაზილია 2-1.

**მატჩი III ადგილისთვის.** ბრაზილია — შვეცია 4-2.

**ფინალი.** იტალია — უნგრეთი 4-2

მერვედფინალში ჩეხოსლოვაკიის გუნდმა აშკარად დაჯაბნა ჰოლანდიის ნაკრები მას შემდეგ, რაც დაინიშნა დამატებითი დრო. ძირითადი კი დამთავრდა ფრედ — 0-0. (მატჩი ჩეხოსლოვაკიელებმა საბოლოოდ მოიგეს ანგარიშით 3-0). პირველი ბურთი მეტოქის კარში გაიტანა კოშტალეკმა ამ დარტყმის შემდეგ.



ბრაზილიელი ლეონიდასი ასეთი აკრობატული ნახტომების ნამდვილი დიდოსტატი იყო.

## თხუთმეტი ერთ მწკრივში

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 11-5 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 15-5 |
| ბრაზილია | 5 | 3 | 1 | 0 | 14-11 |
| შვეცია | 3 | 1 | 0 | 2 | 11-9 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 |
| კუბა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-12 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 |
| რუმინეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 4-5 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 |
| პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 5-6 |
| ნორვეგია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 |
| ბელგია | 1 | 0 | 0 | 1 | 1-3 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 |
| ჰოლ. ინდოეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-6 |

## ბომბარდირები

ლეონიდასი (ბრაზილია) — 8
ზენგელერი (უნგრეთი) — 7
პიოლა (იტალია) — 6
შაროში (უნგრეთი) — 4
ვეტერსტრიომი (შვეცია) — 4
რომეუ (ბრაზილია) — 3
ნიბერგი (შვეცია) — 3
კოლაუსი (იტალია) — 3
ვილიმოვსკი (პოლონეთი) — 3
აბეგლანი (შვეიცარია) — 3

**ერთ მატჩში ოთხი გოლი:** ლეონიდასი (ბრაზილია) და ვეტერსტრიომი (შვეცია).

**„ჰეთ-თრიკი“:** ვილიმოვსკი (პოლონეთი), ზენგელერი (უნგრეთი)

**ერთ მატჩში ორი გოლი:** ზენგელერი (ორჯერ), პიოლა (ორჯერ): აბეგლანი, ნიკოლა (საფრანგეთი), შაროში, კოლაუსი, ლეონიდასი.

ბრაზილია-პოლონეთის მატჩის დასაწყისი. ერთმანეთს ესალმებიან კაპიტნები: მარცხნივ — შჩეპანიაკი (პოლონეთი), მარჯვნივ — მარტიმი. ეს საკმაოდ უხვგოლებიანი მატჩი მოიგეს ბრაზილიელებმა 6-5.

## ყველა გოლი

**უნგრეთი** — 15. ზენგელერი — 7. შაროში — 4, ტიტკოში — 2, ტოლდი, კოჰუტი — 1-1.

**ბრაზილია** — 14. ლეონიდასი — 8, რომეუ — 3, პერაჩო — 2, რობერტო — 1

**შვეცია** — 11 ვეტერსტრიომი — 4, ნიბერგი — 3, იონასონი — 2, კელერი, ჰ.ანდერსონი — 1-1.

**იტალია** — 11. პიოლა — 6, კოლაუსი — 3, ფერარი, მეაცა — 1-1.

**პოლონეთი** — 5. ვილიმოვსკი — 3, შერფკე, ვოდაჟი — 1-1.

**კუბა** — 5. მაკინი — 2, ტუნასი, სოსა, სოკორო — 1-1.

**შვეიცარია** — 5. აბეგლანი — 3, ბიკელი, ვალაშეკი — 1-1

**ჩეხოსლოვაკია** — 5. ნეიედლი — 2, კოშტალეკი, შიმუნეკი, კოპეცკი — 1-1.

**რუმინეთი** — 4. დობაი — 2, კოვაჩი, ბარატკი — 1-1.

**საფრანგეთი** — 4. ნიკოლა — 2. ვეინანტი, ჰეისერერი 1-1.

**გერმანია** — 3. გაუხელი, ჰანემანი — 1-1. ერთი გოლი საკუთარ კარში გაიტანა ლიორჩერმა (შვეიცარია).

**ბელგია** — 1. ისემბორგსი — 1.

**ნორვეგია** — 1. ბრუსტადი — 1.

## სიმბოლური ნაკრები

პლანიჩკა (ჩეხოსლოვაკია), ფონი (იტალია), რავა (იტალია), დომინგოს და გიია (ბრაზილია), ანდრეოლო (იტალია), ლოკატელი (იტალია), ტიტკოში (უნგრეთი), ლეონიდასი (ბრაზილია), პიოლა (იტალია), შაროში (უნგრეთი), კოლაუსი (იტალია).

## არბიტრები, მაყურებლები და ქალაქები

● **ჩემპიონატის** 18 მატჩს მოემსახურა 9 ქვეყნის 13 არბიტრი. ეკლინდმა (შვეცია), ვიუტრიჰმა (შვეიცარია), კაპდევილმა (საფრანგეთი), ლანჟენიუმ (ბელგია) და ლეკლერკმა (საფრანგეთი) 2-2 მატჩი იმსაჯეს, დანარჩენმა რვა არბიტრმა კი თითო შეხვედრა.

● **მსოფლიოს** მესამე ჩემპიონატის 18 მატჩს 375 ათასი მაყურებელი დაესწრო — თითო შეხვედრას საშუალოდ 21 ათასი კაცი.

● **მატჩები** მოეწყო საფრანგეთის 9 სხვადასხვა ქალაქში. პარიზმა უმასპინძლა 6 მატჩს, ბორდომ — 3, ტულუზამ და მარსელმა — 2-2, ჰავრმა, რეიმსმა, სტრასბურმა, ანტიბმა და ლილმა — თითო შეხვედრას.

მეოთხედფინალი, იტალია — საფრანგეთი 3-1 (1-1). იტალიელთა საუკეთესო ფორვარდს პიოლას (შავ მაისურში) გააქვს გოლი ფრანგების მეკარის დი ლორტოს კარში (პიოლამ ამ დღეს ორჯერ გამოიჩინა თავი),

# „ლელოს" საჭადრაკო დარბაზი

ხელმძღვანელი გივი გამრეკელი

## ახალი „ქარიშხალი უდაბნოში"?

საჭადრაკო სამყაროში გრძელდება დიდი აურზაური პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის მიერ მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვ — გატა კამსკის მატჩის ბაღდადში დანიშვნის გამო.

პარიზი. პრეტენდენტის მამამ, რუსტამ კამსკიმ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ მისი შვილისათვის, როგორც მაჰმადიანური სამყაროს წარმომადგენლისათვის, განსაკუთრებით სასიამოვნო იქნებოდა მაჰმადიანურ ერაყში თამაში. მაგრამ, როგორც რ. კამსკიმ განაცხადა, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ჯერჯერობით მატჩის ბაღდადში ჩატარების წინააღმდეგია, რადგან ამით ირღვევა ერაყის მიმართ საერთაშორისო სანქციების რეჟიმი. აშშ-ში საერთაშორისო სანქციების დამრღვევთ ემუქრებათ 12 წლის პატიმრობა და ჯარიმა 1 მილიონი დოლარის ოდენობით. „ჩვენ თანახმა ვართ, სადაც გნებავთ, იქ ვითამაშოთ, მაგრამ არ დავარღვევთ იმ სახელმწიფოს კანონებს, სადაც ვცხოვრობთ" — განაცხადა რ. კამსკიმ.

პრეზიდენტი ილიუმჟინოვი კი აცხადებს, რომ ყურადღებით გაეცნო საერთაშორისო დოკუმენტებს და მათში ჭადრაკის შესახებ ვერაფერი ნახა. ნუ აურევთ ერთმანეთში ჭადრაკსა და პოლიტიკას — ამბობს პრეზიდენტი. ილიუმჟინოვმა განაცხადა, რომ კონსულტაციები ჰქონდა კრემლთან, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ესაუბრა მის ხელმძღვანელს ევგენი პრიმაკოვს. „რუსეთის აზრით, მსოფლიო პირველობის მატჩის ჩატარება სულაც არ ეწინააღმდეგება ერაყისადმი ეკონომიკური სანქციების რეჟიმს" — თქვა ილიუმჟინოვმა. იგი აპირებს აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი დაარწმუნოს, რათა მან მოხსნას შეზღუდვა გატა კამსკის მიმართ და მისცეს ბაღდადში მატჩის ჩატარების უფლება.

„ამ შეჯიბრების მიზანია ჭადრაკის პოპულარიზაცია, მით უმეტეს, რომ იგი ევროპაში სწორედ არაბული სამყაროდან შემოვიდა" — ხაზი გაუსვა პრეზიდენტმა. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ „კარპოვ-კამსკის მატჩის ჩატარება მოსკოვსა და ბაქოსაც უნდოდათ. მაგრამ მათი წინადადებები ბაღდადისაზე გაცილებით უარესი იყო, როგორც საპრიზო ფონდის, ისე მატჩის ჩატარების პირობების თვალსაზრისითაც, კერძოდ, მოსკოვი საპრიზო ფონდის სახით, დაახლოებით 1 მილიონ დოლარს გვთავაზობდა. ამასთან, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეიძლება კვლავ დადგეს მატჩის მოსკოვში ან ბაქოში ჩატარების საკითხი, თუკი ამერიკელები არ შეცვლიან თავიანთ პოზიციას".

კ. ილიუმჟინოვმა ისიც აღნიშნა, რომ ფიდე იძულებული იყო თავისი გადაწყვეტილება ცაიტნოტის პირობებში მიეღო. მონრეალმა, რომელმაც თავისი კანდიდატურა 1995 წლის ნოემბერში წამოაყენა, დადგენილ დროში — თებერვლის ბოლომდე — ვერ გასცა გონივრული პასუხი, ჩაატარებდა თუ არა ამ ორთაბრძოლას, როგორი იყო საპრიზო ფონდი და ა.შ. ფიდესათვის კი მნიშვნელოვანია კარპოვ-კამსკის მატჩის წლის შუა თვეებში ჩატარება, რადგან დეკემბერში უკვე იწყება მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი ილიუმჟინოვის მიერ შეთავაზებული სისტემით. ამ ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 5 მილიონი დოლარი იქნება, ამის შესახებ ადრე იყო გამოცხადებული. ილიუმჟინოვი ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ თანხის რეალობას.

ჟურნალისტებს უპასუხა კარპოვმაც. მან ხაზი გაუსვა იმ ამბავს, რომ როგორც რუსეთის მოსახლეობის მართლმადიდებელი ნაწილის წარმომადგენელს, ურჩევნია მოსკოვში ითამაშოს და არა მაჰმადიანურ ბაღდადსა ან ბაქოში. მაგრამ ახლა მთავარია ფიდეს პრეზიდენტი დაუკავშირდეს გაეროს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს, რათა ყველაფერი გაარკვიოს. თუკი საკითხი ნორმალურად გადაიჭრება, მაშინ ორივე მხარე გაგზავნის თავის წარმომადგენლებს ბაღდადში, ადგილზე გაეცნობა პირობებს და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მაშინ მიიღებს. ამასთან, თქვა კარპოვმა, ბაღდადის მიერ შეთავაზებულ საპრიზო ფონდს 2 მილიონი დოლარის ოდენობით სარეკორდოდ ნუ მივიჩნევთ. მან თქვა, რომ ფიშერთან მატჩისათვის ფილიპინები 5 მილიონ დოლარს სთავაზობდნენ, კარპოვისა და კასპაროვის ორი მატჩის საპრიზო ფონდი კი 3-3 მილიონ დოლარს შეადგენდა.

ვაშინგტონი. ფიდეს ხელმძღვანელობის მიერ მატჩის ადგილად ბაღდადის ამორჩევა შეიძლება სპორტულიდან პოლიტიკურ პრობლემაში გადაიზარდოს. „ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს გადაწყვეტილება შეიცვლება — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ნიკოლას ბერნსმა — წინააღმდეგ შემთხვევაში აშშ-ს მოქალაქე კამსკის შეიძლება გაურთულდეს საქმე ბაღდადში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ბერნსმა განმარტა, რომ ამერიკული კანონების თანახმად, რომელიც მიღებულია ერაყის მიმართ ცნობილ საერთაშორისო სანქციებთან დაკავშირებით, აშშ-ს ყველა მოქალაქემ, ან მუდმივმა მცხოვრებმა (კამსკები სწორედ ასეთებად ითვლებიან) სახელმწიფო დეპარტამენტისაგან უნდა მიიღოს სპეციალური ნებართვა ამ ქვეყანაში გასამგზავრებლად და საზღვარგარეთულ პასპორტში განსაკუთრებული აღნიშვნაც ამის შესახებ. ამასთან, ამერიკელებს ეკრძალებათ ერაყში ყოფნის დროს ეროვნული ვალუტის დახარჯვა. ყველა ამერიკელი, ერაყში გამგზავრებას რომ აპირებს, სახელმწიფო დეპარტამენტს მიმართავს. „ზოგჯერ ჩვენ მათ უარს ვეუბნებით, — თქვა ბერნსმა, — მაგრამ ვერ გეტყვით, როგორი გადაწყვეტილება იქნება ამჯერად მიღებული კარპოვ-კამსკის მატჩთან დაკავშირებით. საერთოდ კი ჩვენ არ მოველოდით ესოდენ უცნაურ გადაწყვეტილებას ფიდესაგან, რომელსაც ჭკვიანი და გამოცდილი ადამიანები ხელმძღვანელობენ. ძნელი გასაგებია, რატომ ამოირჩიეს მატჩის ჩასატარებლად მაინცდამაინც ბაღდადი, როცა მსოფლიოში ამდენი თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოა მდიდარი საჭადრაკო ტრადიციებით. რაც შეეხება ერაყს, ყველასათვის ცნობილია სადამ ჰუსეინის რეჟიმის ნამდვილი სახე, რომელმაც ხუთი წლის წინ სპარსეთის ყურეში ომი გააჩაღა, ახლა კი სასტიკად ამცირებს საკუთარ ხალხს, ბაღდადის რეჟიმი საერთაშორისო იზოლაციას იმსახურებს. მე იმედი მაქვს, არავინ ჩათვლის ფიდეს გადაწყვეტილებას სადამ ჰუსეინის მხარდამჭერად".

ოტავა. მონრეალისა და მთელი კანადის საჭადრაკო საზოგადოებრიობამ იმედის გაცრუებით შეიტყო, რომ მატჩი მსოფლიო პირველობაზე კანადის მიწაზე აღარ გაიმართება.

კანადის საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელ ბრედ ტომსონის აზრით, მონრეალის მარცხში საბედისწერო როლი იმ გარემოებამ ითამაშა, რომ შეძლებულ კანადელ სპონსორებს გული აუცრუა გარი კასპაროვის კონფრონტაციამ ფიდესთან და მის მიერ საკუთარი ორგანიზაციის შექმნამ.

გაზეთი „გლობ ენდ მეილი" პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის გადაწყვეტილებას მატჩის ბელგრადში გამართვის შესახებ „მოულოდნელს" უწოდებს იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელზეც გაეროს ეკონომიკური სანქციები გრძელდება და რომელიც დიპლომატიურ იზოლაციაში იმყოფება. გაზეთის შეშფოთებას თვით საპრიზო ფონდის წყაროც იწვევს, რამდენადაც გამორიცხული არ არის, რომ მას პირადად გენერალი სადამ ჰუსეინი გამოყოფს. „ჰუსეინი — წერს „გლობ ენდ მეილი" — თავად აპირებს მატჩის გახსნას, თუმცა, როგორც კ. ილიუმჟინოვი გვარწმუნებს, ჰუსეინი სამხედრო ფორმას სამოქალაქო ტანსაცმლით შეცვლის".

ჰააგა. ჰოლანდიის საჭადრაკო წრეები ნეგატიური რეაქციით შეხვდნენ ფიდეს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას მატჩის ბაღდადში ჩატარების შესახებ, მით უმეტეს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიმართ საერთაშორისო სანქციები არსებობს. ეს გადაწყვეტილება ცნობილმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა „საეჭვოდ და ჭადრაკისათვის მავნედ" მიიჩნია. მისი აზრით, ჰოლანდიის საჭადრაკო კავშირმა ამ საკითხზე პროტესტით უნდა მიმართოს ფიდეს. თუკი მსოფლიოს ახალი ჩემპიონატი 5 მილიონი დოლარის საპრიზო ფონდით ბაღდადში ჩატარდება, მე მასში არ მივიღებ მონაწილეობას. — განაცხადა იან ტიმანმა. იგივე აზრი გამოთქვა მეორე ცნობილმა ჰოლანდიელმა დიდოსტატმა იონ ვან დერ ვილმა.

აბუ-დაბი. როცა აშშ-ს ხელისუფლების ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა, ფიდეს ხელმძღვანელობამ საპრეზიდენტო საბჭოს საგანგებო სხდომა გამართა, სადაც მიიღო გადაწყვეტილება „ყურადღებით განიხილოს მატჩის ბაღდადიდან სხვა ადგილას გადატანის შესაძლებლობა".

როგორც ფიდეს გენერალურმა მდივანმა გეორგიოს მაკროპულოსმა (საბერძნეთი) თქვა, ამ საკითხს უფრო რბილი მიდგომა სჭირდება. თუკი კამსკი ბაღდადში გამგზავრების ნებართვას არ მიიღებს, ცხადია, მას არავინ ჩაუთვლის დამარცხებას.

კამსკი, როგორც ეს ცნობილი გახდა, შეეცადა მიეღო ბაღდადში გამგზავრების ნებართვა, მაგრამ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა მკაცრი მიმართვა, რომელიც ფიდეს ხელმძღვანელობისაგან ადრინდელი გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვს. ამის საპასუხოდ ფიდემ გამოაცხადა, რომ სპორტი, და, კერძოდ, ჭადრაკი არ ყოფილა ექვსწლიანი სანქციების ნუსხაში. ფიდემ გაეროს მიმართა, რათა მან გადაწყვიტოს ეს საკითხი.

### ორი მუზის ერთგული

## ტაიმანოვსაც ამწარებდნენ...

**განთქმული დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი, მოჭადრაკე და პიანისტი, რომელიც, ამას წინათ, 70 წლისა გახდა, ჭადრაკის ისტორიაში შევიდა არა მარტო როგორც პრეტენდენტთა ასპარეზობის ორგზის მონაწილე, არამედ ერთ-ერთი უდიდესი კურიოზის თანაავტორიც. მხედველობაში გვაქვს მისი დამარცხება ლეგენდარულ ბობი ფიშერთან — ანგარიშით 0:6. თუმცა ამის შესახებ სჯობს თვით მარკ ტაიმანოვს მოვუსმინოთ.**

მარკ ტაიმანოვი

— როგორც ანალიტიკოსმა და ლიტერატორმა 16 საჭადრაკო წიგნი დავწერე, რომლებიც სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნდა. ამას წინათ, გამოვიდა წიგნი რუსულ ენაზე „როგორ გავხდი ფიშერის მსხვერპლი".

სრული გულახდილობით უნდა განვაცხადო, რომ ამ მატჩს ყოველგვარი გამწარების გარეშე ვიხსენებ. პირიქით, ვიხსენებ როგორც დიდ მოვლენას ჩემს ცხოვრებაში, იმიტომ, რომ უდიდეს მოჭადრაკეს შევხვდი, თანაც მასთან ერთ-ერთმა უკანასკნელმა ვითამაშე. ფიშერმა, რომელიც კოლეგების თამაშის შეფასებაში, თავის საჯარო გამოსვლებში ყოველთვის ობიექტურობით გამოირჩეოდა, ერთხელ განაცხადა, რომ ანგარიში არაფრით არ შეეფერებოდა ამ მატჩის ხასიათსა და მსვლელობას. სხვა საკითხია, რომ მატჩის შედეგი ხელმძღვანელობისათვის მეტად მტკივნეული აღმოჩნდა — იგი ჭადრაკში მხოლოდ საზეიმო დაფდაფებს იყო შეჩვეული. უცბად კი, აი რა მოხდა: საბჭოთა დიდოსტატი დამარცხდა „ვიღაც ამერიკელთან" — გამანადგურებელი ანგარიშით 0:6. ეს არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ეს არანორმალურია, ერთი სიტყვით, იმას ნიშნავს, რომ აქ რაღაცა იმალება, პოლიტიკური აქტია, აქციაა იმპერიალიზმისა და სიონიზმის სასარგებლოდ... ამიტომაც გამოსცეს ბრძანება, რათა დამნაშავე მთელი სისასტიკით დასჯილიყო. მე ერთბაშად ყველა საშინელ ცოდვაში დამდეს ბრალი. კონტრაბანდის შემოტანაშიც კი, თუმცა კონტრაბანდა შედგებოდა 400 გულდენისაგან, რომელიც ფიდეს პრეზიდენტმა მაქს ეივემ ჩემი ყოფილი მწვრთნელის სალო ფლორისათვის გამომატანა, როგორც ჰოლანდიის ჟურნალში გამოქვეყნებული წერილების ჰონორარი. გარდა ამისა, საბაჟოში შემოწმებისას მე აღმომიჩინეს სოლჟენიცინის წიგნი „პირველ წრეში", თუმცა მანამდე არც ერთი ცნობილი მოჭადრაკე არასოდეს შეუმოწმებიათ. თანაც ეს წიგნი აკრძალულთა რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, თვით სოლჟენიცინი კი იმ დროს საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა.

„მიიღეს დადგენილება" ჩემთვის ყველა პრივილეგიის, სტიპენდიის, სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების ჩამორთმევის შესახებ. მაგრამ ყველაზე მძიმე დარტყმა ის იყო, რომლის შესახებ დღესაც ცოტამ თუ იცის რამე. საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის კოლეგიის სხომაზე თავმჯდომარემ ბრძნული ტონით თქვა: „აი რას ფიქრობენ თქვენზე ლენინგრადელები — ნახეთ!". ამოიღო და მომაწოდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ „ტაიმანოვმა არ გაამართლა ჩვენი იმედები. მან ქარაფშუტულად განაცხადა, რომ მატჩისათვის მზად არის. სინამდვილეში კი მატჩს უპასუხისმგებლოდ მოეკიდა. შეარცხვინა საბჭოთა საჭადრაკო სკოლა". წერილს ხელს აწერდნენ ეფიმ კოპელიანი და სერგეი იურსკი (ცნობილი მსახიობები), მაგრამ ისინი ხომ ჩემი უახლოესი მეგობრები იყვნენ. ამ ამბავმა გამაოგნა და ყველაფერი დანარჩენი დამავიწყა. რა თქმა უნდა, როცა სამი საათის შემდეგ ლენინგრადში ჩავფრინდი, კოპელიანი და იურსკი ჩემთან მოვიდნენ სახლში და ჩემნაირივე შოკურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. კოპელიანი მაშინვე გაემგზავრა მოსკოვში, დილით სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობასთან მივიდა და ამ პროვოკაციისათვის თავისი აღშფოთება და პროტესტი გამოხატა. შემდეგში გამოირკვა, რომ ეს ყალბი დოკუმენტი სპეციალურად შექმნეს.

... მაგრამ დრო გადიოდა, მე კი საზონათშორისო ტურნირში უნდა გამოვსულიყავი. მთელი წელიწადნახევრის მანძილზე არსად მითამაშია, ამიტომ ვითხოვე ნებართვა რომელიმე საერთაშორისო ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. შეარჩიეს ყველაზე „უმტკივნეულო" — შეჯიბრება იუგოსლავიაში. ჩამოვედი მოსკოვში პასპორტის მისაღებად, მაგრამ გავიგე, რომ გასამგზავრებელ ვიზას არ მაძლევდნენ. პარტიის ცეკაში ერთმა მაღალი თანამდებობის მოღვაწემ მიმიღო და მითხრა: „მარკ ევგენის ძევ, სიტუაცია, რა თქმა უნდა, ძალზე რთულია. თქვენ ცოდვები გაწევთ, მაგრამ მანამდე კარგი რეპუტაცია გქონდათ. ამიტომ ჩვენს წინაშე ალტერნატივაა: ან ბოლომდე დაგსაჯოთ ან უნდა გაპატიოთ. ჩვენ გადვწყვიტეთ ყველაფერი გაპატიოთ. დავივიწყოთ ის ეპიზოდი, წარმატებებს გისურვებთ..."

დღეს კი 70 წლის ტაიმანოვი ამბობს: „განვლილი საქმიანობის შეჯამება ყოველთვის სევდასთან არის დაკავშირებული. მთელი ჩემი თანდაყოლილი ოპტიმიზმის მიუხედავად, ახლა უკვე აღარ მჯერა, როგორც წინათ, რომ ჩემი მთავარი წარმატებები ჯერ კიდევ წინაა, რომ ჩემი საუკეთესო პარტიები ჯერ კიდევ არ მითამაშია".

რა თქმა უნდა, ტაიმანოვი კვლავ თამაშობს ჭადრაკს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი ორჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი ვეტერანთა შორის.

### იუმორი



— ყაიმზე თანახმა ვარ!

### საჭადრაკო ამოცანა

ჯემალ მახათაძე (ზესტაფონი)



ნადიშამათი 4 სვლაში.

## „იქსი" ეთამაშებოდა ათ ოსტატს, მაგრამ ვინ იყო იგი?

**1929 წლის მიწურულში ჯერ ლენინგრადის გაზეთმა „სმენამ", ხოლო შემდეგ ჟურნალმა „შახმატნი ლისტოკმა" ასეთი განცხადება გამოაქვეყნეს: „ჩვენს ქალაქში ჩამოსული უცნობი მოჭადრაკე („იქსი") ტელეფონით მატჩს ეთამაშება 10 ახალგაზრდა ოსტატსა და პროფკავშირების ჩემპიონებს".**

აი, ვინ გამოიწვია „იქსმა" მატჩში: ლენინგრადის ჩემპიონი ილინ-ჟენევსკი, რომელმაც 1925 წელს მოსკოვის I საერთაშორისო ტურნირში სენსაციური გამარჯვება იზეიმა მსოფლიოს ჩემპიონ კაპაბლანკასთან, მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი (რომელიც მაშინ 18 წლისა იყო), მომავალი დიდოსტატი რაგოზინი, ცნობილი ეტიუდისტი ლ. კუბელი, როხლინი, ჟურნალ „შახმატნი ლისტოკის" რედაქტორი ს. ვაინშტეინი, პროფ. კოიალოვიჩი, ზეკა, ჟილინი, კვების მრეწველობის მუშაკთა კავშირის კოლექტივი მიასოედოვის ხელმძღვანელობით.

მატჩის პირობები ასეთი იყო: ყოველ დღე 19 საათამდე ამ თავისებური სეანსის თითო მონაწილეს სვლა უნდა შეეტყობინებინა რედაქციის მუშაკისათვის, რომელიც მყისვე „იქსს" აცნობებდა. ამავე დღის 22 საათამდე „იქსი" საპასუხო სვლას იმავე მუშაკის საშუალებით მოჭადრაკეებს უგზავნიდა. ყველა პარტიაში „იქსი" თეთრებით თამაშობდა.

ეს მეტისმეტად თავისებური სეანსი დიდ ინტერესს იწვევდა. ყველას, უპირველეს ყოვლისა, იმის გაგება უნდოდა, ვინ იყო ბოლოსდაბოლოს, ეს „იქსი", რომელიც როგორც მალე გამოირკვა, ძალიან კარგად თამაშობდა. ზოგი მიიჩნევდა, რომ „იქსი" ეტყობა, რომელიმე უცხოელი დიდოსტატი უნდა ყოფილიყო (რომელი? ამას ვინ გაიგებდა!). რომანოვსკი, რომელიც იმ წლებში საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო, თვლიდა, რომ ასეთი სეანსის გამართვა მხოლოდ რომელიმე გამოჩენილ დიდოსტატს შეეძლო (საბჭოთა კავშირში ეს წოდება მაშინ არავის ჰქონდა).

აი, რას წერს ამ სეანსის მონაწილე როხლინი:

საინტერესოა, რომ მატჩის შუაგულში ს. ვაინშტეინი ყველას არწმუნებდა, რომ მისმა აგენტურამ გამოავლინა, ვინ არის ბოლოს და ბოლოს, ეს „იქსი" — ესენი ძმები ლ. და ა. კუბელები არიან. მაგრამ რათა „კვალი წაიშალოს", ერთი მათგანი თითქოს თვით თამაშობდა ძმის წინააღმდეგ."

...ბოტვინიკმა გამოთქვა აზრი, რომ „ნილაბქვეშ", ეტყობა, ოსტატი ი. რაბინოვიჩი თამაშობს, რადგანაც იგი... ამ თემაზე ლაპარაკს თავს არიდებს! ამავე საფუძვლით ბევრი „იქსად" ოსტატ ლევენფიშს მიიჩნევდა, რომელიც ნაცნობებთან შეხვედრისას ამ თემაზე ლაპარაკისას თითქოს ხელებს შლიდა ან მხრებს იჩეჩავდა.

ამასობაში მატჩი დამთავრდა კიდეც. „იქსმა" ბრწყინვალე შედეგით დაასრულა იგი: 7 პარტია მოიგო და 3 (ბოტვინიკთან, კუბელსა და როხლინთან) ყაიმით დაასრულა.

ვინ იყო ბოლოს და ბოლოს, ეს „იქსი"?!

1930 წელს „შახმატნი ლისტოკის" მეოთხე ნომერში ოსტატმა აბრამ მოდელმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღიარა, რომ „იქსი"... თვით იყო! ამან უდიდესი გაოცება გამოიწვია.

აბრამ მოდელი, რომელსაც ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე ალიოხინი დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა, იმ დროს ლენინგრადის ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი გახლდათ (იგი 1976 წელს გარდაიცვალა 80 წლის ასაკში).

ასეა თუ ისე, 10 ოსტატის წინააღმდეგ ასეთი წარმატებით თამაში უდავოდ დიდი მიღწევა იყო და უფრო მსოფლიოს რომელიმე უძლიერეს დიდოსტატს შეეფერებოდა!

# თქვენთვის, ფეხბურთის გულშემატკივრებო!

ეს კალენდარი შეგიძლიათ ამოჭრათ, გაკეცოთ ჯერ შუაზე ვერტიკალურად, შემდეგ ასევე შუაზე ჰორიზონტალურად და მიიღებთ ჯიბის კალენდარს

# ევროპა აპრილის ბოლოს იწყებს

მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი 1996 წლის 24 აპრილს საბერძნეთ — სლოვენიის (პირველი ჯგუფი), იუგოსლავია — ფარერების (მეექვსე ჯგუფი) და მაკედონია — ლიხტენშტეინის (მერვე ჯგუფი) ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრებით დაიწყება 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირების ციკლი ევროპის ზონაში. ამ მატჩების კალენდარი ასეთია:

### I ჯგუფი

დანია, საბერძნეთი, ხორვატია, სლოვენია, ბოსნია და ჰერცოგოვინა.

**1996 წელი**

| | |
|---|---|
| 24.4 | საბერძნეთი — სლოვენია |
| 1.9 | საბერძნეთი — ბოსნ. ჰერც. |
| | სლოვენია — დანია |
| 9.10 | დანია — საბერძნეთი |
| | ბოსნ. ჰერც. — ხორვატია |
| 9.11 | სლოვენია — ბოსნ. ჰერც. |
| 10.11 | ხორვატია — საბერძნეთი |

**1997 წელი**

| | |
|---|---|
| 29.3 | ხორვატია — დანია |
| 2.4 | ხორვატია — სლოვენია |
| | ბოსნ. ჰერც. — საბერძნეთი |
| 30.4 | დანია — სლოვენია |
| | საბერძნეთი — ხორვატია |
| 8.6 | დანია — ბოსნ. ჰერც. |
| 20.8 | ბოსნ. ჰერც. — დანია |
| 6.9 | ხორვატია — ბოსნ. ჰერც. |
| | სლოვენია — საბერძნეთი |
| 10.9 | დანია — ხორვატია |
| | ბოსნ. ჰერც. — სლოვენია |
| 11.10 | საბერძნეთი — დანია |
| | სლოვენია — ხორვატია |

### II ჯგუფი

იტალია, ინგლისი, პოლონეთი, საქართველო, მოლდოვა

**1996 წელი**

| | |
|---|---|
| 1.9 | მოლდოვა — ინგლისი |
| 5.10 | მოლდოვა — იტალია |
| 9.10. | იტალია — საქართველო |
| | ინგლისი — პოლონეთი |
| 9.11 | საქართველო — ინგლისი |
| 10.11 | პოლონეთი — მოლდოვა |

**1997 წელი**

| | |
|---|---|
| 12.2 | ინგლისი — იტალია |
| 29.3 | იტალია — მოლდოვა |
| 2.4 | პოლონეთი — იტალია |
| 30.4 | ინგლისი — საქართველო |
| | იტალია — პოლონეთი |
| 31.5 | პოლონეთი — ინგლისი |
| 7.6 | საქართველო — მოლდოვა |
| 14.6 | პოლონეთი — საქართველო |
| 10.9 | ინგლისი — მოლდოვა |
| | საქართველო — იტალია |
| 24.9. | მოლდოვა — საქართველო |
| 7.10 | მოლდოვა — პოლონეთი |
| 11.10 | იტალია — ინგლისი |
| | საქართველო — პოლონეთი |

### III ჯგუფი

ნორვეგია, შვეიცარია, ფინეთი, უნგრეთი, აზერბაიჯანი

**1996 წელი**

| | |
|---|---|
| 2.6 | ნორვეგია — აზერბაიჯანი |
| 2.8 | აზერბაიჯანი — შვეიცარია |
| 1.9. | უნგრეთი — ფინეთი |
| 6.10 | ფინეთი — შვეიცარია |
| 9.10 | ნორვეგია — უნგრეთი |
| 10.11 | შვეიცარია — ნორვეგია |
| | აზერბაიჯანი — უნგრეთი |

**1997 წელი**

| | |
|---|---|
| 2.4 | აზერბაიჯანი — ფინეთი |
| 30.4 | ნორვეგია — ფინეთი |
| | შვეიცარია — უნგრეთი |
| 8.6 | ფინეთი — აზერბაიჯანი |
| | უნგრეთი — ნორვეგია |
| 20.8 | ფინეთი — ნორვეგია |
| | უნგრეთი — შვეიცარია |
| 6.9 | შვეიცარია — ფინეთი |
| | აზერბაიჯანი — ნორვეგია |
| 10.9 | უნგრეთი — აზერბაიჯანი |
| | ნორვეგია — შვეიცარია |
| 11.10 | ფინეთი — უნგრეთი |
| | შვეიცარია — აზერბაიჯანი |

### IV ჯგუფი

შვედეთი, შოტლანდია, ავსტრია, ლატვია, ბელარუსი, ესტონეთი.

**1996 წელი**

| | |
|---|---|
| 1.6 | შვედეთი — ბელარუსი |
| 31.8 | ავსტრია — შოტლანდია |
| | ბელარუსი — ესტონეთი |
| 1.9 | ლატვია — შვედეთი |
| 5.10 | ლატვია — შოტლანდია |
| | ესტონეთი — ბელარუსი |
| 9.10 | შვედეთი — ავსტრია |
| | ესტონეთი — შოტლანდია |
| | ბელარუსი — ლატვია |
| 9.11 | ავსტრია — ლატვია |
| 10.11 | შოტლანდია — შვედეთი |

**1997 წელი**

| | |
|---|---|
| 29.3 | შოტლანდია — ესტონეთი |
| 2.4 | შოტლანდია — ავსტრია |
| 30.4 | ავსტრია — ესტონეთი |
| | შვედეთი — შოტლანდია |
| | ლატვია — ბელარუსი |
| 18.5 | ესტონეთი — ლატვია |
| 8.6 | ლატვია — ავსტრია |
| | ესტონეთი — შვედეთი |
| | ბელარუსი — შოტლანდია |
| 20.8 | ესტონეთი — ავსტრია |
| | ბელარუსი — შვედეთი |
| 6.9 | ავსტრია — შვედეთი |
| | ლატვია — ესტონეთი |
| | შოტლანდია — ბელარუსი |
| 10.9 | ბელარუსი — ავსტრია |
| | შვედეთი — ლატვია |
| 11.10 | ავსტრია — ბელარუსი |
| | შვედეთი — ესტონეთი |
| | შოტლანდია — ლატვია |

### V ჯგუფი

რუსეთი, ბულგარეთი, ისრაელი, კვიპროსი, ლუქსემბურგი

იხ. მე-6 გვ.

# იტალია — ჩემპიონატების ჩემპიონი

**ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა ყველაზე ძლიერი ეროვნული ჩემპიონატების სარეიტინგო სია. კლასიფიკაციის საფუძვლად მიღებულია ქვეყნის ხუთი საუკეთესო კლუბის გამოსვლა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ეროვნულ ჩემპიონატებში.**

1. იტალია — 1352,5
2.. საფრანგეთი — 1045
3. ესპანეთი — 1026
4. გერმანია — 970
5. ბრაზილია — 928,5
6. ინგლისი — 874
7. ჰოლანდია — 851,5
8. არგენტინა — 849
9. პორტუგალია — 721,5
10. ჩეხეთი — 680
11. რუსეთი — 637,5
12. ბელგია — 616,5
13. პარაგვაი — 606
14. ჩილი — 588
15. საბერძნეთი — 552

## ჩემპიონთა მწვრთნელიც, ჩემპიონია!

# სესარ ლუის მენოტი

სესარ ლუის მენოტი სამუდამოდ დარჩება არგენტინის ფეხბურთის სიამაყედ. სადაც დი სტეფანოსა და სივორის, კემპესსა და მარადონას ახსენებენ, დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ „ელ ფლაკოსაც“ („გამხდარი“). ეს მეტსახელი მას ბრაზილიელი ვისენტე ფეოლას ანალოგიით შეექმნა. ბრაზილიელს, როგორც მოგეხსენებათ, „ელ გორდოს“ („მსუქანს“) უწოდებდნენ. „ელ გორდომ“ და „ელ ფლაკომაც“ დიდი საქმე გააკეთეს: ფეოლამ ბრაზილიელებს (პირველად!) მოაპოვებინა მსოფლიო ჩემპიონობა, მეორემ კი (ასევე პირველად!) ეს არგენტინელებისთვის შეძლო.

სესარ ლუის მენოტი 1938 წლის 5 ნოემბერს დაიბადა როსარიოში. თვითონაც გამოჩენილი ფეხბურთელი იყო, თამაშობდა თავდასხმაში, შემდეგ კი ნახევარმცველად. ჭაბუკობისას გამოდიოდა „როსარიოში“, მერე მიიწვიეს დედაქალაქის „რესინგ-კლუბში“, შემდეგ კი „ბოკა ხუნიორსში“. ეს კლუბი არგენტინელთათვის იგივეა, რაც, ვთქვათ, ბრაზილიელებისთვის „ფლამენგო“ ან „სანტოსი“. ამ კლუბში მიწვევა არგენტინელი ფეხბურთელისთვის თავისთავად დიდი პატივია, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ძეხოტი ბრაზილიელთა საამაყო „სანტოსშიც“ გამოდიოდა. ამ დროისთვის იგი უკვე შუა ხაზის მოთამაშე იყო და პელეს პარტნიორიც. მენოტი თავის მოგონებებში დიდი სიყვარულით ლაპარაკობს იმ დიდ ოსტატებზე, რომლებმაც „სანტოსში“ მოიყარეს თავი, და, გასაგებია, პელეს საგანგებო ყურადღებას უთმობს. როგორც სხვა ბევრმა სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა, ხანში რომ შევიდა, მენოტიმაც კარიერის გაგრძელება აშშ-ში არჩია. თამაშობდა „ჯენერალსში“, ბოლოს კი ნიუ-იორკის „კოსმოსში“, რომელმაც იმ ხანებში ბევრ ცნობილ ევროპელ და სამხრეთამერიკელ ოსტატს მოუყარა თავი.

სამშობლოში დაბრუნებულმა მენოტიმ მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი. ხომ შესანიშნავი ფეხბურთელი იყო და (რაც საკმაოდ იშვიათად ხდება!) კიდევ უკეთესი მწვრთნელი გახდა. დასაწყისში თავისი მშობლიური ქალაქის „როსარიო სენტრალს“ ავარჯიშებდა, შემდეგ უფრო შეძლებულ და პრეტენზიულ „ჰურუკანში“ (ბუენოს-აირესი) გადავიდა. „როსარიო სენტრალში“ გამოჩნდა მენოტის, როგორც მეტად ნიჭიერი სპეციალისტის მთელი შესაძლებლობანი. არგენტინული ფეხბურთის ისეთ გრანდებთან ჭიდილში, როგორებიცაა „რივერ პლეიტი“ და „ბოკა ხუნიორსი“. „როსარიომ“ 1973 წელს ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა. ამან არგენტინის ფეხბურთის მესვეურებზე, რომლებიც ხშირად ცვლიდნენ ეროვნული ნაკრების მწვრთნელებს და რაიმე დამაკმაყოფილებელ შედეგს მაინც ვერ მიაღწიეს, ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გადაწყვიტეს ხსნა სწორედ მენოტში ეძებნათ და იპოვეს კიდეც — 1974 წელს მენოტი ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. ოთხი წლის შემდეგ არგენტინა თვით მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს და, გასაგებია, ამდენი მარცხის შემდეგ იარაღის დაყრას არ აპირებდა. ვინ იცის, რამდენი ფეხბურთელი გასინჯა მენოტიმ, რამდენი საწვრთნელი შეკრება მოაწყო, ვერც ცალკეული მარცხი და ჟურნალისტების გაავთრებული შეტევა აიცილა, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, მეტად ბრძოლისუნარიანი გუნდი შექმნა. იგი მშვენივრად ხედავდა მარადონას ტალანტს და ხელს უწყობდა მის განვითარებას, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — ჭაბუკი ფეხბურთელისთვის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა აუტანელი ფსიქოლოგიური დატვირთვა იქნებოდა.

1978 წელს არგენტინა მსოფლიო ჩემპიონი გახდა და მენოტის სახელიც სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. ამის შემდეგ მენოტი ევროპის, ლათინური ამერიკის სხვადასხვა გუნდს წვრთნიდა, მაგრამ ამას უკვე დიდი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. — „ელ ფლაკომ“, რომელზეც არგენტინელი გულშემატკივრები ლოცულობდნენ, თავისი საქმე უკვე გააკეთა.

სესარ ლუის მენოტი

ბიჭი თორელი.

# დიეგო მარადონა რინგზე

დიეგო მარადონა, თანამედროვეობის გამოჩენილი ფეხბურთელი, არ ისვენებს. იგი ხან რას მოიმოქმედებს, ხან — რას. სკანდალები, დავიდარაბა მარადონას არ აკლია, უსიამოვნებები ამის გამო მოედანზე თან სდევს, ხან სასამართლოში აქვს საქმე, ხან ნარკომანებთან, ღამის ბარში ქალის სამოსშიც გვინახავს, პოლიციის მანქანაშიც, თუმცა თავისი საფეხბურთო ტალანტი და მონაცემები მას სავსებით ჰყოფნის საიმისოდ, რომ სამხრეთ ამერიკაშიც და ევროპაშიც გამოჩენილი ადამიანი და საყოველთაოდ ცნობილი პიროვნება იყოს.

აი, დიეგოს ახალი ახირება: მან საკუთარი თავი მოკრივედაც წარმოადგინა და რინგზე მოგვევლინა, თანაც ვის წინააღმდეგ? მეტოქედ მან აირჩია თვით სანტოს ბენინიო ლასიარი. არც მეტი, არც ნაკლები!

ვინ არის ს. ლასიარი? იგი პროფესიონალთა შორის მსოფლიო ჩემპიონი გახლდათ უმძიმეს წონაში, თავის დროზე ჰქუხდა რინგზე, წონაში ბადალი არ ჰყავდა და დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა. მართალია, ეს იყო კაი ხნის, უფრო სწორად, 15 წლის წინ, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას რა მნიშვნელობა აქვს. მოკრივე მოკრივეა, ფეხბურთელი — ფეხბურთელი! რინგზე მათ ვერ გაათანაბრებ.

და, აი, ქალაქ კორდობას ვეება დარბაზში გაიმართა ეს არნახული მატჩი, უფრო კი სანახაობითი შოუ, ორ-ორწუთიანი 3 რაუნდი, რომლის მიმდინარეობისას, როგორც ჟურნალისტები წერენ, კრივში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ერთთავად იმას ცდილობდა მაგრად არ მოერტყა ფეხბურთში მსოფლიოს ექს-ჩემპიონისთვის, რინგზე იყო უხამსი ბლლარძუნი. აუდიტორიამ კარგა მაგრა იმხიარულა, ბოლოს კი ყველაფერი იმით გათავდა, რომ მარადონამ ურთულესი საფეხბურთო ილეთები შეასრულა ზედ რინგზე. აქ უკვე იგი შეუდარებელი არტისტი იყო.

# უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **მსოფლიოსა** და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ჯორჯ ვეა იტალიის „მილანში“ 2000 წლამდე აპირებს დარჩენას. მან უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს კლუბთან.

● **ცნობილმა** ბრაზილიელმა თავდამსხმელმა ბებეტომ განაცხადა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „დეპორტივოსთან“ ხელშეკრულებას აღარ განაახლებს და სამშობლოში დაბრუნდება, თუმცა ხელშეკრულებით ესპანეთის კლუბში მას კიდევ ორი წელი უნდა ეთამაშა.

● **პორტუგალიის** სუპერთასის მატჩი ამ ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის 20 აპრილს გაიმართება... პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, რის თაობაზე მოტოქეები უკვე ოფიციალურად შეთანხმდნენ. თანახმაა „პორტუც“ (ჩემპიონი), თანახმაა „სპორტინგიც“ (თასის მფლობელი). როგორც ირკვევა, ამის მიზეზია სატელევიზიო ტრანსლაციის ხელსაყრელი პირობები და ისიც, რომ საფრანგეთში დიდი რაოდენობით ცხოვრობენ პორტუგალიელები.

● **ჰოლანდიაში** დადებითად მოეკიდნენ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას „ოქროს გოლის“ თაობაზე (დამატებით დროში თამაში წყდება, როგორც კი გავა გოლი). კერძოდ, ამ პრინციპით წარიმართება ჰოლანდიის თასის ფინალური მატჩი 16 მაისს როტერდამში.

● **31 ათასზე** მეტი მაყურებელი დაესწრო ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიული ლიგის პირველი ჩემპიონატის გახსნის მატჩს კალიფორნიის ქალაქ სან-ხოსეში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „სან-ხოსე კლეში“ და „ვაშინგტონ იუნაიტედი“. ანგარიშით 1-0 თამაში მოიგეს მასპინძლებმა.

● **საფრანგეთის** ლიგის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში პარიზის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „მეტცი“ და „ლიონი“. შეხვედრის ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ — 0-0, დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა „მეტცმა“ 5-4.

● **აზერბაიჯანის** ნაკრებმა ბაქოში მიიღო თურქეთის ეროვნული გუნდი. ერთადერთმა გატანილმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა სტუმრებს — 1-0.

● **რუმინეთის** ფეხბურთში, როგორც ირკვევა, გამეფებულია კორუფცია და მოსყიდული მატჩები. ამასთან დაკავშირებით ბუქარესტის „დინამოს“ პრეზიდენტმა კორნელ დინუმ განაცხადა, რომ დინამოელები პროტესტის ნიშნად შესაძლოა გამოეთიშონ ქვეყნის ჩემპიონატს.

1996 წელი
1.9 ისრაელი — ბულგარეთი
რუსეთი — კვიპროსი
8.10 ლუქსემბურგი — ბულგარეთი
9.10 ისრაელი — რუსეთი
10.11 კვიპროსი — ისრაელი
ლუქსემბურგი — რუსეთი
14.12 კვიპროსი — ბულგარეთი
15.12 ისრაელი — ლუქსემბურგი.

1997 წელი
29.3 კვიპროსი — რუსეთი
30.3 ლუქსემბურგი — ისრაელი
2.4 ბულგარეთი — კვიპროსი
30.4 ისრაელი — კვიპროსი
რუსეთი — ლუქსემბურგი
8.6 ბულგარეთი — ლუქსემბურგი
რუსეთი — ისრაელი
20.8 ბულგარეთი — ისრაელი
7.9 ლუქსემბურგი — კვიპროსი
10.9 ბულგარეთი — რუსეთი
11.10 კვიპროსი — ლუქსემბურგი
რუსეთი — ბულგარეთი.

### VI ჯგუფი

ესპანეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, იუგოსლავია, მალტა, ფარერის კუნძულები

1996 წელი
24.4 იუგოსლავია — ფარერები
2.6 იუგოსლავია — მალტა
31.8 ფარერები — სლოვაკეთი
4.9 ფარერები — ესპანეთი
18.9 ჩეხეთი — მალტა
22.9 სლოვაკეთი — მალტა
6.10 ფარერები — იუგოსლავია
9.10 ჩეხეთი — ესპანეთი
23.10 სლოვაკეთი — ფარერები
10.11 იუგოსლავია — ჩეხეთი
13.11 ესპანეთი — სლოვაკეთი
14.12 ესპანეთი — იუგოსლავია
18.12 მალტა — ესპანეთი

1997 წელი
12.2 ესპანეთი — მალტა
31.3 მალტა — სლოვაკეთი
2.4 ჩეხეთი — იუგოსლავია
29.4 მალტა — ფარერები
იუგოსლავია — ესპანეთი
21.5. სლოვაკეთი — ჩეხეთი
7.6 ფარერები — მალტა
ესპანეთი — ჩეხეთი
იუგოსლავია — სლოვაკეთი
20.8 ჩეხეთი — ფარერები
6.9 ფარერები — ჩეხეთი
10.9 სლოვაკეთი — იუგოსლავია
24.9 მალტა — ჩეხეთი
სლოვაკეთი — ესპანეთი
11.10 ჩეხეთი — სლოვაკეთი
მალტა — იუგოსლავია
ესპანეთი — ფარერები

### VII ჯგუფი

პოლანდია, ბელგია, თურქეთი, უელსი, სან-მარინო

1996 წელი
2.6 სან-მარინო — უელსი
31.8 უელსი — სან-მარინო
ბელგია — თურქეთი
5.10 უელსი — პოლანდია
9.10 სან-მარინო — ბელგია
9.11 პოლანდია — უელსი
10.11 თურქეთი — სან-მარინო
14.12 ბელგია — პოლანდია
უელსი — თურქეთი

1997 წელი
29.3 უელსი — ბელგია
პოლანდია — სან-მარინო
2.4 თურქეთი — პოლანდია
30.4 სან-მარინო — პოლანდია
თურქეთი — ბელგია
7.6 ბელგია — სან-მარინო
20.8 თურქეთი — უელსი
6.9 პოლანდია — ბელგია
10.9 სან-მარინო — თურქეთი
11.10 პოლანდია — თურქეთი
ბელგია — უელსი

### VIII ჯგუფი

რუმინეთი, ირლანდია, ლიტვა, ისლანდია, მაკედონია, ლიხტენშტეინი.

1996 წელი
24.4 მაკედონია — ლიხტენშტეინი
1.6 ისლანდია — მაკედონია
31.8 ლიხტენშტეინი — ირლანდია
რუმინეთი — ლიტვა
5.10 ლიტვა — ისლანდია.
9.10 ისლანდია — რუმინეთი
ირლანდია — მაკედონია
ლიტვა — ლიხტენშტეინი
9.11 ლიხტენშტეინი — მაკედონია
10.11 ირლანდია — ისლანდია
14.12 მაკედონია — რუმინეთი

1997 წელი
29.3 რუმინეთი — ლიხტენშტეინი
2.4 ლიტვა — რუმინეთი
მაკედონია — ირლანდია
30.4 ლიხტენშტეინი — ლიტვა
რუმინეთი — ირლანდია
7.6 ირლანდია — ლიხტენშტეინი
მაკედონია — ისლანდია
11.6 ისლანდია — ლიტვა
19.8 ლიხტენშტეინი — ისლანდია
20.8 ირლანდია — ლიტვა
რუმინეთი — მაკედონია
6.9 ისლანდია — ირლანდია
ლიხტენშტეინი — რუმინეთი
ლიტვა — მაკედონია
10.9 რუმინეთი — ისლანდია
ლიტვა — ირლანდია
11.10 ისლანდია — ლიხტენშტეინი
ირლანდია — რუმინეთი
მაკედონია — ლიტვა

### IX ჯგუფი

გერმანია, პორტუგალია, ჩრდ. ირლანდია, უკრაინა, ალბანეთი, სომხეთი.

1996 წელი
31.8 ჩრდ. ირლანდია — უკრაინა
სომხეთი — პორტუგალია
5.10 ჩრდ. ირლანდია — სომხეთი
უკრაინა — პორტუგალია
9.10 ალბანეთი — პორტუგალია
სომხეთი — გერმანია
9.11 ალბანეთი — სომხეთი
გერმანია — ჩრდ. ირლანდია
პორტუგალია — უკრაინა
14.12 ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი
პორტუგალია — გერმანია

1997 წელი
29.3 ალბანეთი — უკრაინა
ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია
2.4 ალბანეთი — გერმანია
უკრაინა — ჩრდ. ირლანდია
30.4 გერმანია — უკრაინა
სომხეთი — ჩრდ. ირლანდია
7.5 უკრაინა — სომხეთი
7.6 პორტუგალია — ალბანეთი
უკრაინა — გერმანია
20.8 ჩრდ. ირლანდია — გერმანია
პორტუგალია — სომხეთი
უკრაინა — ალბანეთი
6.9 გერმანია — პორტუგალია
სომხეთი — ალბანეთი
10.9 ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია
გერმანია — სომხეთი
11.10 გერმანია — ალბანეთი
პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია
სომხეთი — უკრაინა

შენიშვნა: ჯგუფებში გამარჯვებული 9 ნაკრები და მეორე ადგილებზე გასულთა შორის საუკეთესო შედეგის მქონე ერთი გუნდი (სულ 10) პირდაპირ გადიან ფინალში. დანარჩენი რვა მეორე პრიზიორი დაწყვილდება და შიმოსვლით მატჩებში გამოავლენს კიდევ ოთხ ფინალისტს.

## ნბა-ს ამბები

● „შარლოტ“-„ჩიკაგოს“ შეხვედრის შემდეგ, რომელიც ამ უკანასკნელმა საკმაოდ დიდი უპირატესობით მოიგო (126:92), დამარცხებული გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი რობერტ პერიში თავს მაინც ბედნიერად თვლიდა. საქმე ის იყო, რომ ამ დღეს იგი გახდა ქარიმ აბდულ-ჯაბარის ერთი უნიკალური რეკორდის თანაავტორი: ნბა-ში თავისი 1560-ე შეხვედრა ჩაატარა.

● ბედმა არ გაუმართლა „ფილადელფიის“ ახალბედას ჯერი სტეკპაუზს. „დეტროიტთან“ მატჩში მარჯვენა ხელის ცერი მოიტეხა და სეზონის დამთავრებამდე გამოეთიშა ლიგას.

● დაფიქსირდა ნბა-ს კიდევ ერთი „ანტირეკორდი“. ლიგის დებიუტანტმა „ვანკუვერმა“ რეგულარულ ჩემპიონატში ზედიზედ 23-ე შეხვედრა წააგო.

## კროსვორდი

### III მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

### 1938 წელი • საფრანგეთი

თარაზულად: 2. ბრაზილიის ნაკრების მეკარე. 4. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ფეხბურთელი, 5. უნგრელი ვიცე-ჩემპიონი, 6. შვეიცარიის ნაკრების ბომბარდირი, 7. ნორვეგიელი თავდამსხმელი. 11. ჩეხი ფეხბურთელი, 13. ბრინჯაოს მედლის მფლობელი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 15. იტალიელი არბიტრი, 16. იტალიელი ფეხბურთელი, 17. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ნახევარმცველი, 20. ვიცე-ჩემპიონთა კაპიტანი, 22. ქალაქი, სადაც ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა. 25. ბელგიის ნაკრების თავდამსხმელი, 28. უნგრელი ნახევამცველი, 29. კუბელი ფეხბურთელი, 30. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 31. იტალიელი მსოფლიო ჩემპიონი. 32. მსოფლიო ჩემპიონთა მეკარე.

შვეულად: 1. გერმანელი ფეხბურთელი, 2. რუმინელი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ორ ჩემპიონატზე მიიღო მონაწილეობა. 3. გერმანიის ნაკრების მცველი, 6. ბრაზილიის ნაკრების წევრი, 8. ნორვეგიელი ფეხბურთელი, 9. პოლონელი ნახევარმცველი, 10. ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ბრაზილიელი ფეხბურთელი, 12. შვეციის ნაკრების წევრი. 13. ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, 14. რუმინელთა კაპიტანი, 18. ბელგის ნაკრების თავდამსხმელი, 19. უნგრელი ვიცე-ჩემპიონი, 20. ეროვნული ნაკრები, 21. გერმანელი მცველი, 23. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 24. შვედი ნახევარმცველი, 26. ქალაქი, სადაც III ადგილისათვის მატჩი გაიმართა. 27. პოლონელი ფეხბურთელი.



### „ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. კარარო, 4. ტელეკი, 6. მატეა, 7. იტალია, 8. მეაცა, 9. რაიაბი, 11. მაცი, 13. ნეჰინი, 15. ზამბორი, 17. ავსტრია, 19. ეკლინდი, 21. ჩამბალი, 22. გუარიზი, 23. პედროსა, 25. კარლსონი, 26. ლაფუენტე, 33. ვაილერი, 34. იოახიმი, 35. ალემანდი.

შვეულად: 1. ფრეში, 2. სესტა, 3. კაპელი, 5. იანესი, 9. როზეტა, 10. იუნეკი, 11. მატლერი, 12. ირანეტა, 13. ნიკოლა, 14. იაკობი, 16. მუგერსა, 18. რეგიეჹრო, 20. ირარაგორი, 21. ჩერკევიჩი, 22. გუაიტა, 24. ასტონი, 27. ავარი, 28. სიუჩი, 29. გენუა, 30. სალაი, 31. ვიდლე, 32. ვინსე.

„კოკა-კოლა კავკასიონი“ ეძებს პროფესიონალურ ქიქ-ბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ღირსეულ მებრძოლს (ფაიტერს)

პირველად საქართველოში

1996 წ. 4-5 მაისს სპორტსაზოგადოება „შევარდენი“-ს სპორტ-კომპლექს „იმედში“ გაიმართება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის შესარჩევი ტურნირი პროფესიონალურ ქიქ-ბოქსინგში

ორგანიზატორებია:
შპს „კოკა-კოლა კავკასიონი“,
პროფესიონალური ქიქ-ბოქსინგის ეროვნული ასოციაცია,
სპორტ-საზოგადოება „შევარდენი“



ტურნირში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საბრძოლო ხელოვნების ფლობის ყველა მსურველმა: კრივი, კარატე, უშუ და ა. შ.

ტურნირი ჩატარდება WAK-pro წესებით

განაცხადების მიღება 25 აპრილამდე

მისამართი: უნივერსიტეტის, №6. სპორტული კომპლექსი „იმედი“ (ველოტრეკთან). ტელ.: 22-64-75.
შეჯიბრების დასაწყისი 12 საათზე

810 972 56 565 340

NEW ! NEW ! NEW ! NEW ! NEW !

ეს არ არის ზღაპარი !
ეს რეალობაა !

ცოცხალი საუბარი
ჩვენს შორის დღე-ღამის
განმავლობაში
დარეკეთ
8 10 972 56 565 340

### ყურადღება!

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ომისა და შეარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ ბროშურად დაიბეჭდა „ლელოს“ შეკვეთით, რედაქციას ხშირად მომართავენ დაინტერესებული პირები თხოვნით, დავეხმაროთ ხსენებული ბროშურის შეძენაში.

ყველას საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ ზემოაღნიშნული კანონი იყიდება საგაზეთო ჯიხურებში და კერძო გამავრცელებლებთან. თუ ზოგან აღარ დარჩა რეალიზაციაში, ჯერჯერობით მისი შეძენა გარანტირებულია გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ ჟურნალ-გაზეთების გამავრცელებელთან.

„ლელოს“ რედაქცია

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66485 INDEX. „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ. სიმონიშვილი. შემსრულებლები: ეთერი მანგოშვილი, ნანი რამიშვილი, მერი წოწორია.